

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2015 წელს შესრულებული სამუშაოების შესახებ ანგარიში

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური შედგება ოთხი სტრუქტურული ერთეულისაგან:

- ა) იურიდიული განყოფილება;
- ბ) მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილება;
- გ) საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება;
- დ) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება.

სამსახური შედგება 25 საშტატო ერთეულისაგან.

მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილება

2015 წლის 05 იანვრიდან 01 აპრილის ჩათვლით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში საქმისწარმოება მიმდინარეობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დამტკიცებული საქმეთა ნომენკლატურის საფუძველზე.

2015 წლის 02 აპრილიდან საქმისწარმოების წესი შიცვალა და დაინერგა ახალი პროგრამა, კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს ანალიტიკური სამსახურის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (edocument).

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენს მიერ მოწოდებული იქნება საქმისწარმოების მთელი წლის სტატისტიკური ანგარიში:

1. საქმისწარმოება

1. 2015 წლის 5 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით სულ შემოსულია -10 051 კორესპოდენცია.
აქედან:
 - ა) მოქალაქის განცხადება - 6 740
 - ბ) სამინისტროებიდან, უწყებებიდან, მთავრობის აპარატიდან და სხვა - 3 311;
2. შიდა დოკუმენტაცია ანუ მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების წერილები - 2 216
3. მუნიციპალიტეტის საკრებულოდან შემოსული - 256 კორესპოდენცია ;
4. გასული კორესპოდენცია - 4806;
5. Interflow სერვისით შემოსულია - 613 კორესპოდენცია

2. მოქალაქეთა მომსახურება

1.2015 წლის 5 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მოქალაქეთა მომსახურების რეგისტრაციის ჟურნალში გატარდა -842 მოქალაქე;

2. გამგებელთან მიღებაზე რეგისტრაციაში გატარდა - 416 მოქალაქე.

3. გზავნილები

1. ჩვენს მიერ საქართველოს ფოსტის მეშვეობით დამისამართებული იქნა შესაბამის ადრესატებთან - 1 197 წერილი.
2. Interflow სერვისით გაგზავნილია - 467 კორესპოდენცია.

4. საჯარო ინფორმაცია

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოსულია - 85 განცხადება, რომელთაგან ყველა განცხადებაზე იქნა გაცემული პასუხი. აქედან საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნაზე და საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე უარის გადაწყვეტილება არ მიღებულა. საჯარო ინფორმაციის მოსაკრებლის გადაუხდელობის გამო - მიღებულია 1 (ერთ) მოთხოვნაზე გადაწყვეტილება.

5. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებები პირადი შემადგენლობის შესახებ (მთავარი სპეციალისტი-საკადრო საკითხებში ელზა გოგიტიძე)

დანიშვნა – გათავისუფლება - 2015 წლის განმავლობაში - 179;

მივლინებებზე შევებულებებზე, სავადმყოფო ფურცელზე ყოფნაზე - 223.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის იურიდიული განყოფილება

2015 წლის განმავლობაში გამგებლის მიერ გამოცემული ბრძანებები, მათ შორის:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებები გამგეობის ძირითად საქმიანობაზე - 998.

იურიდიული განყოფილების მიერ სისტემატიურად ხორციელდებოდა:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების დებულებების მომზადების უზრუნველყოფა, ექსპერტიზის ჩატარება, საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარდგენა.

გამგეობის თანამდებობის პირებზე და მოხელეებზე მათი უფლებამოსილების განხორციელებაში ორგანიზაციული და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.

გამგებლის სამართლებრივ აქტებზე ექსპერტიზის ჩატარება.

გამგეობის ინტერესების სასამართლოში დაცვა.

გამგებლის ინიციატივით საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების მომზადება.

იურიდიული განყოფილების მიერ ორგანიზებული და უზრუნველყოფილი იქნა 2015 წელში ვაკანტურ თანამდებობაზე დასაკავებლად კონკურსისა და საჯარო მოსამსახურეთა ატესტაციის ჩატარება და ჩასატარებლად მასალების მომზადება

იურიდიული განყოფილების მიერ:

- 2015 წლის განმავლობაში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გამოიცა 1400 ინდივიდუალურ – ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი.
- იურიდიული განყოფილების მიერ ვიზირებული იქნა 1157 იურიდიული მნიშვნელობის დოკუმენტი
- შემოსული და განხილული იქნა 1337 განცხადება
- ვიზირებული იქნა სახელმწიფო შესყიდვების 270 ხელშეკრულება
- მომზადებული იქნა უზუფრუქტისა და სერვიტუტის 16 ხელშეკრულება
- წარმოებაშია 58 სასამართლო საქმე - აქედან:
 - *ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს წარმოებაშია: 12 საქმე*
 - *ბათუმის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია: 24 საქმე*
 - *ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია: 1 საქმე*
 - *ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაშია: 15 საქმე*
 - *თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია: 2 საქმე*
 - *საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაშია: 4 საქმე*
- 2015 წელს ჩატარებული იქნა 60 სასამართლო პროცესი საქალაქო/ რაიონული/ სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში.
- ჩატარებული იქნა 20 ადმინისტრაციული მოსმენა
- მონაწილეობა მიღებული იქნა საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში, იდენტიფიცირების კომისიაში, სატენდერო კომისიაში, საპრემიო კომისიაში, მონიტორინგის კომისიაში, ინვენტარიზაციის კომისიაში, სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის შემსწავლელი ადგილობრივი კომისიაში და სარეზერვო ფონდის განკარგვის კომისიაში.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება


2015 წლის განმავლობაში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას განსახილველად დაეწერა **1566** კორესპონდენცია, აქედან ჩვენს მიერ საპასუხოდ მომზადებული იქნა **790** სხვადასხვა სახის კორესპონდენცია, მათ შორის:

545 - ცნობა;

120 - შუამდგომლობა;

103 - საპასუხო წერილი;

22 - მოხსენებითი ბარათი;



საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება ჩართულია გამგებელთან მოქალაქეთა მიღების ფორმატში, სადაც ოპერატიულად ხდება მოქალაქეების მიერ დასმული პრობლემების შესწავლა და გადაწყვეტა.

განყოფილება დებულების თანახმად წლის განმავლობაში დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის ადმინისტრირებას;

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა საქმიანობის საჯაროობას;

მათი საქმიანობის შესახებ ყოველთვიური პრეს-დაიჯესტის მომზადებასა და გამოქვეყნებას; მათ ურთიერთობას მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან;

საჯარო ინფორმაციის რეესტრის წარმოებას;

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული წესით გამოქვეყნებას;

საჯარო ინფორმაციის გაცემას;

გამგებლის წარმომადგენელთათვის მეთოდურ დახმარებას და საჭიროების შემთხვევაში თათბირების ორგანიზებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ორგანიზებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 64-ვე სოფელში გაიმართა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის, საკრებულოს თავმჯდომარის, გამგეობისა და საკრებულოს წევრების შეხვედრები მოსახლეობასთან.

აღსანიშნავია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებისა და აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი ინიციატივა, რომლის ფარგლებშიც ქ.ბათუმის „რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“-ს ექიმებმა ჩაატარეს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 14 ადმინისტრაციულ ერთეულში. საერთო ჯამში გამოკვლეული იქნა **1200** ხელვაჩაურის ადგილობრივი მოსახლე.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება აქტიურად იყო ჩართული „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გზების დაბეტონების მიმდინარეობის პროცესში, ასევე განყოფილების წევრებმა მონაწილეობა მიიღეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხილვაში მოსახლეობასთან შეხვედრის ფორმატში.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ინიციატივითა და ორგანიზებით მიმდინარე წლის განმავლობაში თვეში ორჯერ იმართებოდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და სოფლების დასუფთავება. აღნიშნულ აქციებში საჯარო მოხელეებთან ერთად მონაწილეობდნენ სხვადასხვა სასწავლებლის სტუდენტები და ადგილობრივი მაცხოვრებლები. ასევე განყოფილების ინიციატივით სოფელ ზანაქიძეებში დაირგო 100 ძირი წაბლის ხე.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ინიციატივითა და ორგანიზებით სოფ. ახალსოფლის სპორტსკოლაში ჩატარდა აჭარის ღია ჩემპიონატი სპორტის სახეობა „მოტოკან კარატე დო“-ში. მასში მონაწილეობა მიიღო 120-მდე სპორტსმენმა. აღნიშნული შეჯიბრი წარმოადგენდა მსოფლიო ჩემპიონატისთვის წინა მოსამზადებელ შეხვედრას. ასევე საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა სემინარი ჩაატარა ხელვაჩაურის სპორტკომპლექსში სპორტსმენებისთვის და მწვრთნელებისთვის, სადაც 100-მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა.

2015 წლის 22 ივლისს აღინიშნა ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა ხსოვნის დღე. ღონისძიებას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები რეპრესირებულთა და დაღუპულთა ოჯახის წევრებიც ესწრებოდნენ. განყოფილების ინიციატივით შექმნილი სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნის მემორიალი აღიმართა (განყოფილების ინიციატივით).

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გაიმართა ტრენინგი „რელიგიური ტოლერანტობა და სეკულარიზმი“. ორდღიან სემინარს რელიგიური ტოლერანტობის კონცეფციასა და რელიგიის თავისუფლების თემაზე ესწრებოდნენ სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის ა.რ.-ის ხუთივე მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები, სადაც იმსჯელეს ტოლერანტობის იდეაზე, საკანონმდებლო რეგულაციებსა და რეგიონში ამ კუთხით არსებულ გამოწვევებზე. სემინარს საჯარო მოხელეების გარდა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები დაესწრნენ, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების წარმომადგენელი. ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.

თურქეთის რესპუბლიკის ქ.მერსინში ნოემბრის თვეში ჩატარდა ტურიზმის საერთაშორისო სამიტი, რომელიც დამეგობრებულ ქალაქებთან ურთიერთობების გაღრმავებასა და ერთობლივი პროექტების შემუშავება-განხორციელებას ისახავდა მიზნად. საერთაშორისო სამიტზე 1000-მდე მუნიციპალიტეტი მონაწილეობდა. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი იმყოფებოდნენ.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება წლის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებში.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება

2015 წლის განმავლობაში სისტემატიურად ხორციელდებოდა ადმინისტრაციული შენობის, მასში განთავსებული ინვენტარის და სხვა მატერიალური ფასეულობების მოვლისა და შენახვის კონტროლი. ასევე მუნიციპალიტეტის მოსამსახურების სამუშაო პირობების გათვალისწინებით მათი უფლებამოვალეობის

განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარეგება. კერძოდ:

1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #25 ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნა მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ავტომანქანების შეკეთების პროცესის უზრუნველყოფა.
2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #18 ხელშეკრულების საფუძველზე შემოტანილი იქნა სხვადასხვა დასახელების ნათურები და შედეგად განხორციელდა დაზიანებული ნათურების შეცვლა.
3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #19 ხელშეკრულების საფუძველზე შემოტანილი იქნა კარის საკეტები.
4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #16 ხელშეკრულების საფუძველზე შემოტანილი და ქსელში ჩართულია მაგიდის ტელეფონები.
5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #17 ხელშეკრულების საფუძველზე შემოტანილია სარეცხი საშუალებები.
6. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #37 ხელშეკრულების საფუძველზე შემოტანილია საკანცელარიო საქონელი.
7. ხელშეკრულება #63 შემოწმდა და შეკეთებული იქნა ადმინისტრაციული შენობის კონდენციონერები.
8. ხელშეკრულება #55 შეკეთდა მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული კომპიუტერული ტექნიკა.

ასევე აღსანიშნავია, ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომლები ღებულობენ მონაწილეობას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით შექმნილ კომისიებში და აქტიურად არიან ჩართული მუნიციპალიტეტის საერთო საქმიანობაში.